



შპს საქართველოს უნივერსიტეტის მათემატიკის ინსტიტუტის დებულება

პრეამბულა

საქართველოს უნივერსიტეტის მისიაა ცოდნის წარმოება და პიროვნების განათლება, ადამიანში ლიბერალურ - ჰუმანური ღირებულებების გაღვივება, პატიოსანი შრომით წარმატების მისაღწევად მისი აღჭურვა საჭირო ცოდნითა და უნარებით.

საქართველოს უნივერსიტეტის მათემატიკის ინსტიტუტის მიზანია გააძლიეროს უნივერსიტეტის კვლევითი პოტენციალი, ხელი შეუწყოს მეცნიერებაზე დაფუძნებული სწავლებას და თავისი საქმიანობით აამაღლოს უნივერსიტეტის ცნობადობა და მისი რეიტინგი საერთაშორისო სასწავლო-სამეცნიერო წრეებში.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. შპს „საქართველოს უნივერსიტეტის“ (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) „მათემატიკის ინსტიტუტი“ (შემდგომში - „ინსტიტუტი“) არის უნივერსიტეტის დამოუკიდებელი

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2020 წლის 6 ნოემბრის N 48/20 ოქმით

სამეცნიერო-კვლევითი ერთეული, რომელიც ახორციელებს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას და თავისი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს სასწავლო პროცესში.

1.2. ინსტიტუტი ექვემდებარება უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და უნივერსიტეტის რექტორის წინაშე.

1.3. ინსტიტუტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებითა და წინამდებარე დებულებით.

მუხლი 2. ინსტიტუტის მიზნები, ფუნქციები და საქმიანობის საგანი

2.1. ინსტიტუტის მიზანია უნივერსიტეტის ფარგლებში ხელი შეუწყოს სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო პროცესების ეფექტურად წარმართვას, საერთაშორისო სტანდარტების დანერგვასა და სამეცნიერო კადრების მომზადებას მათემატიკაში და მექანიკაში. ინსტიტუტის დანიშნულებაა დასახელებული მიმართულებით ფუნდამენტური კვლევების, საკონსულტაციო, საექსპერტო საქმიანობის განხორციელება, სამეცნიერო თანამშრომლობის განვითარება ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

2.2. ინსტიტუტის ძირითადი ფუნქციებია:

2.2.1. სამეცნიერო პროექტების განხორციელება;

2.2.2. საერთაშორისო საგანმანათლებლო და აკადემიური განვითარების მიზნით უნივერსიტეტის მეცნიერ - მკვლევართა მობილობის ხელშეწყობა;

2.2.3. მაღალი დონის სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა სამი ძირითადი მიმართულებით (კვლევითი მიმართულებები / თემები შესაძლებელია დაემატოს ინსტიტუტის ამოცანების გაფართოების შესაბამისად: კვალობაზე):

ა) კერძოწარმოებულიანი დიფერენციალური განტოლებები და მათი გამოყენება მათემატიკური ფიზიკის ამოცანებში, ამოხსნების რიცხვითი მეთოდების დამუშავება;

ბ) ფუნქციათა თეორიის ამოცანები, კერძოდ, ფურიეს მწკრივთა თეორია ლოკალურად კომპაქტურ აბელის

ჯგუფებზე;

- გ) აბსტრაქტული ალგებრა, ჰომოლოგიური და ჰომოტოპიური ალგებრა, ალგებრული ტოპოლოგია, არაასოციური ალგებრული სტრუქტურები, კატეგორიათა თეორია, მათემატიკური კრიპტოგრაფია.

2.2.4. ინსტიტუტის კვლევითი პოტენციალის გამოყენებით სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებისა და მის ეფექტურად წარმართვისთვის სტუდენტთა კვლევით პროგრამებში (უპირატესად გამოყენებითი მათემატიკის დარგში) ჩართვის ხელშეწყობა .

2.2.5. ადგილობრივ და საერთაშორისო ფირმებთან, მსხვილ მწარმოებლებთან თანამშრომლობა სხვადასხვა სახის გამოყენებითი ხასიათის სამეცნიერო კვლევების წარმოებისთვის

2.2.6. ყოველწლიურად, ინსტიტუტის სამეცნიერო ნაშრომთა კრებულის მომზადება და გამოცემა

2.2.7. წელიწადში არანაკლებ 6 საერთო-საქალაქო სემინარის ორგანიზება.

2.3. ინსტიტუტის საქმიანობის საგანია:

2.3.1. კვლევითი გრანტების მოპოვების მიზნით ეროვნულ და საერთაშორისო საგრანტო კონკურსებში თანამშრომელთა მონაწილეობის ხელშეწყობა;

2.3.2. ინსტიტუტის კომპეტენციის ფარგლებში მათემატიკის მიმართულელებთ სამაგისტრო, სადოქტორო, პოსტ-სადოქტორო პროგრამების ხელშეწყობა და ამ პროგრამებზე სტუდენტების, დოქტორანტების მოზიდვა;

2.3.3. მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში სამეცნიერო პუბლიკაციების გამოსაქვეყნებლად თანამშრომელთა ხელშეწყობა;

2.3.4. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, სემინარებსა და ფორუმებში მონაწილეობის მისაღებად თანამშრომელთა ხელშეწყობა.

მუხლი 3. ინსტიტუტის სტრუქტურა

3.1. ინსტიტუტის სტრუქტურა შედგება ინსტიტუტის მართვის

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2020 წლის 6 ნოემბრის N 48/20 ოქმით

ორგანოების (დირექტორი და ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო) და სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულებისაგან (განყოფილებებისაგან), რომლებიც შეიძლება ჩამოყალიბდნენ ინსტიტუტის განვითარების შესაბამისად.

- 3.2. ინსტიტუტის სამეცნიერო-საორგანიზაციო და ადმინისტრაციულ საქმიანობას ხელმძღვანელობს ინსტიტუტის დირექტორი.
- 3.3. ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობა შეიძლება დაიკავოს პირმა, რომელიც აკმაყოფილებს ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლისთვის დადგენილ მოთხოვნებს.
- 3.4. მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სკოლის აკადემიური საბჭოს და უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის წარდგინებით ინსტიტუტის დირექტორს ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი.
- 3.5. ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს ნიშნავს ინსტიტუტის დირექტორი.
- 3.6. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო შედგება ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ თანამშრომლებისაგან.
- 3.7. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს შექმნამდე ინსტიტუტის სამეცნიერო მართვისა და განვითარების, საკადრო საკითხებს წყვეტს ინსტიტუტის დირექტორი უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოსთან შეთანხმებით.
- 3.8. ინსტიტუტის სტრუქტურული ერთეულების არჩევის წესი და საქმიანობა დარეგულირდება შესაბამისი ცვლილებებით დებულებაში, რომელსაც წარადგენს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო და ამტკიცებს რექტორის საბჭო.

მუხლი 4. ინსტიტუტის პერსონალი

- 4.1. ინსტიტუტის პერსონალი შედგება ადმინისტრაციული, სამეცნიერო და დამხმარე პერსონალისაგან.
- 4.2. ადმინისტრაციულ პერსონალს მიეკუთვნება დირექტორი და დირექტორის მოადგილე.
- 4.3. სამეცნიერო პერსონალს მიეკუთვნება მეცნიერი და პოსტ-დოქტორანტი.
- 4.4. მეცნიერები არიან შემდეგი სამეცნიერო თანამდებობების მქონე პირები:
 - 4.4.1. მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;
 - 4.4.2. უფროსი მეცნიერი თანამშრომელი;

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2020 წლის 6 ნოემბრის N 48/20 ოქმით

- 4.4.3. მეცნიერი თანამშრომელი.
- 4.5. ინსტიტუტის შტატის პერსონალი უნდა იყოს აფილირებული საქართველოს უნივერსიტეტთან.
- 4.6. ინსტიტუტის დამხმარე პერსონალს მიეკუთვნებიან სპეციალისტები, ლაბორანტები, ინჟინრები და საშტატო განრიგით გათვალისწინებული სხვა თანამდებობის თანამშრომელები.
- 4.7. ინსტიტუტის კვლევით აკადემიური პერსონალთან ერთად პროექტებში ჩართული იქნებიან როგორც ბაკალავრიატის, ისე მაგისტრატურის და დოქტორანტურის სტუდენტები.
- 4.8. ინსტიტუტის პერსონალის უფლება-მოვალეობები, ასევე მათი შრომითი ურთიერთობის პირობები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, წინამდებარე დებულებითა და უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 5. ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის უფლება-მოვალეობები

- 5.1. სამეცნიერო პერსონალს უფლება აქვს:
 - 5.1.1. დამოუკიდებლად განახორციელოს სამეცნიერო კვლევა და შეუზღუდავად გამოაქვეყნოს კვლევის შედეგები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათი შეზღუდვა ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული ან ისინი შეიცავენ სახელმწიფო საიდუმლოებას;
 - 5.1.2. დამოუკიდებლად განსაზღვროს სამეცნიერო კვლევის შინაარსი, კვლევის მეთოდები და საშუალებები;
 - 5.1.3. განახორციელოს აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობა მხოლოდ საქართველოს უნივერსიტეტში გარდა კოლაბორაციისა და განსაკუთრებული შემთხვევებისა, რომელიც იქნება განსაზღვრული ინსტიტუტის დირექტორის, შესაბამისი სკოლის დირექტორის და სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მიერ;
 - 5.1.4. უხელმძღვანელოს არა უმეტეს 5 დოქტორანტს ერთდროულად;
 - 5.1.5. მონაწილეობა მიიღოს საგრანტო დაფინანსების მოპოვების მიზნით გამოცხადებულ კონკურსებში, მიიღოს დაფინანსება,

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2020 წლის 6 ნოემბრის N 48/20 ოქმით

ისარგებლოს ინდივიდუალური საგრანტო დაფინანსებით. აგრეთვე, მიიღოს ანაზღაურება კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობის შედეგად ინსტიტუტის მიერ მიღებული შემოსავლებიდან;

5.1.6. ისარგებლოს უნივერსიტეტის/ინსტიტუტის ბიბლიოთეკითა და სხვა ქონებით;

5.1.7. განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებანი.

5.2. სამეცნიერო პერსონალი ვალდებულია:

5.2.1. დაიცვას ინსტიტუტის დებულებითა და უნივერსიტეტის შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნები;

5.2.2. შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

5.2.3. სამეცნიერო პერსონალის აკადემიურ დატვირთვას განსაზღვრავს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სკოლის დირექტორი ინსტიტუტის დირექტორთან შეთანხმებით და დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 10 საათს კვირაში.

5.2.4. ყოველი კალენდარული წლის 15 დეკემბრისათვის წარმოადგინოს თავისი 1 წლიანი მუშაობის ანგარიში (ანგარიშის ფორმა დაეგზავნებათ 2 კვირით ადრე) და მომავალი წლის სამუშაო გეგმა, გააკეთოს პრეზენტაცია ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე. ანგარიშს და სამუშაო გეგმას აფასებს და ამტკიცებს სამეცნიერო საბჭო, ხოლო მის შექმნამდე ინსტიტუტის დირექტორი.

5.2.5. გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის/ინსტიტუტის ქონებას;

5.2.6. სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს ყოველწლიურად წარუდგინოს შესრულებული სამუშაოს ანგარიში;

5.2.7. შეასრულოს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებები;

5.2.8. წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებისას გაითვალისწინოს ინსტიტუტის ინტერესები და რეგულარულად მიიღოს მონაწილეობა მიმდინარე ღონისძიებებში;

5.2.9. გაუფრთხილდეს ინსტიტუტის რეპუტაციას, ხელი შეუწყოს მისი მიზნების განხორციელებას.

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2020 წლის 6 ნოემბრის N 48/20 ოქმით

5.2.10. მოამზადოს და გამოაქვეყნოს სამეცნიერო სტატიები.

5.2.11. მუდმივად მიიღოს მონაწილეობა ადგილობრივ და უცხოურ საგრანტო კონკურსებში.

5.3. სამეცნიერო პერსონალის შრომითი ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია მოქმედი კანონმდებლობით და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული შემთხვევები.

მუხლი 6. სამეცნიერო თანამდებობის დაკავების წესი

6.1. სამეცნიერო თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის საფუძველზე, რომელიც უნდა ჩატარდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების შესაბამისად.

6.2. მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება 7 წლით შეუძლია პირს, რომელსაც აქვს:

6.2.1. დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება;

6.2.2. განსაკუთრებული სამეცნიერო მიღწევები;

6.2.3. ბოლო 10 წელიწადში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 15 სტატია იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში;

6.2.4. მისი ხელმძღვანელობით დაცულია მინიმუმ სამი სადოქტორო დისერტაცია;

6.2.5. მისი ციტირების ინდექსი Google Scholar-ში აღემატება 600.

6.3. მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის 5 წლის ვადით დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს:

6.3.1. დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება;

6.3.2. განსაკუთრებული სამეცნიერო მიღწევები;

6.3.3. ბოლო 10 წელიწადში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 10 სტატია იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში;

6.3.4. მისი ხელმძღვანელობით დაცულია მინიმუმ ორი სადოქტორო დისერტაცია;

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2020 წლის 6 ნოემბრის N 48/20 ოქმით

- 6.3.5. მისი ციტირების ინდექსი Google scholar-ში აღემატება 500.
- 6.4. უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის 5 წლის ვადით დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს:
 - 6.4.1. დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება;
 - 6.4.2. ბოლო 5 წელიწადში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 5 სტატია იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში.
 - 6.4.3. მისი ხელმძღვანელობით დაცულია მინიმუმ ერთი სადოქტორო დისერტაცია ან ჰყავს მინიმუმ ერთი დოქტორანტი მისი ციტირების ინდექსი Googl Scholar-ში აღემატება 200.
- 6.5. მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის 3 წლის ვადით დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს:
 - 6.5.1. დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, ან მისი სადოქტორო დისერტაცია მიღებულია დასაცავად (მეორე შემთხვევაში მას გაუფორმდება პირობითი ხელშეკრულება 6 თვით);
 - 6.5.2. გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 3 სტატია იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში, რომელიც არ შედიოდა მის სადოქტორო დისერტაციაში.
- 6.6. მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება ერთი და იგივე პირის მიერ შესაძლებელია მხოლოდ ორჯერ.
- 6.7. ინსტიტუტის პერსონალი ექვემდებარება ატესტაციის გავლას უნივერსიტეტის წესდებითა და ატესტაციის ჩატარების ერთიანი წესით.
- 6.8. ატესტაციის ერთიან წესს შეიმუშავენ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო და ამტკიცებს რექტორი.

მუხლი 7. ინსტიტუტის ქონება და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობა

- 7.1. ინსტიტუტი სარგებლობს უნივერსიტეტის მიერ ინსტიტუტისათვის გამოყოფილი სამეცნიერო და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობისთვის აუცილებელი უძრავ-მოძრავი ქონებით და პასუხისმგებელია ამ ქონების მოვლა-პატრონობასა და

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2020 წლის 6 ნოემბრის N 48/20 ოქმით

ეფექტურად (მიზნობრივად) გამოყენებაზე.

- 7.2. ინსტიტუტის დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს:
 - 7.2.1. უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან მიზნობრივად გამოყოფილი თანხები;
 - 7.2.2. ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი;
 - 7.2.3. გრანტებით მიღებული შემოსავალი;
 - 7.2.4. შემოწირულობები;
 - 7.2.5. საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული დაფინანსების სხვა წყარო.
- 7.3. ინსტიტუტის საქმიანობით მოზიდული სახსრები გამოიყენება უნივერსიტეტისა და ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის შემდგომი განვითარებისთვის ან/და პერსონალის შრომის ანაზღაურებისათვის.

მუხლი 8. ინსტიტუტის ბიუჯეტი

- 8.1. მათემატიკის ინსტიტუტს გააჩნია დამოუკიდებელი ბიუჯეტი, რომელსაც ყოველი კალენდარული წლის ბოლოს წარადგენს ინსტიტუტის დირექტორი.
- 8.2. მათემატიკის ინსტიტუტს ბიუჯეტი შედგება ორი ნაწილისაგან:
 - 8.2.1. უნივერსიტეტის საბაზისო დაფინანსება, რომელსაც წარადგენს ინსტიტუტის დირექტორი, განიხილავს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სკოლის აკადემიური საბჭო და დაამტკიცებს სამეცნიერო კვლევითი პროექტების საბჭო.
 - 8.2.2. დამოუკიდებლად მოპოვებული თანხები სხვა ორგანიზაციებიდან ხელშეკრულებების საფუძველზე და გრანტებიდან, რომელსაც წარადგენს ინსტიტუტის დირექტორი და ამტკიცებს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო.

მუხლი 9. ინსტიტუტის ლიკვიდაცია

- 9.1. ინსტიტუტის ლიკვიდაციის საფუძველი შეიძლება გახდეს:
 - 9.1.1. ინსტიტუტის დებულებით გათვალისწინებული

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2020 წლის 6 ნოემბრის N 48/20 ოქმით

ვალდებულებების შეუსრულებლობა;

9.1.2. უნივერსიტეტის წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა.

მუხლი 10. დასკვნითი დებულებები, ინსტიტუტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

10.1. ინსტიტუტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდებით დადგენილი წესით.

10.2. ინსტიტუტის დებულებაში შეტანილი ცვლილებები და დამატებები ძალაში შედის დამტკიცების მომენტიდან.

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2020 წლის 6 ნოემბრის N 48/20 ოქმით

